საქართველოს მთავრობის განკარგულება

№561 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სს „ენერგო-პრო ჯორჯიასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ (ს/კ: №205169066).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში;

ბ) პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 1 (ერთი) წლის ვადაში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის (ქობულეთი-ივერიას) აშენება და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ექსპლუატაციაში მიღება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი

N	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი
1	ქობულეთი, კაიკაციშვილის ქუჩის მიმდებარედ 15 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.11.473
2	ქობულეთი, ფიჭვნარში მდებარე 34 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.05.338
3	ქობულეთი, ფიჭვნარში მდებარე 34 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.05.337
4	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 34 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.470
5	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 34 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.471
6	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 36 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.472
7	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 36 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.473
8	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 94 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.474